

სკოლა „აპოდიქსის“ მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კონკურსები, მიღწევები

2014 წელი

#	მნიშვნელოვანი ღონისძიებები/კონკურსები / მიღწევები	მოკლე აღწერა	დრო
1.	ინტელექტ-ტესტი V, VI და VII კლასებში	26 თებერვალს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ტესტირება V, VI და VII კლასებში; ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში - „ყველაზე ჭკვიანი“. რომელიც ჩატარდება სკოლა „აპოდიქსში“ 6 მარტს.	26. 02. 14
2.	„ყველაზე ჭკვიანი“ V - VII კლასებში	6 მარტს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება „ყველაზე ჭკვიანი“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ტესტირების გზით შერჩეული V, VI და VII კლასის მოსწავლეები: გამარჯვება მოიპოვა VI კლასის მოსწავლემ - ლიკა ჯაიანმა, რომელსაც გადაეცა სიგელი და „საბავშვო ვეფხისტყაოსანი“; სიგელებით დაჯილდოვდნენ, ასევე, ფინალურ ტურში გადასული მოსწავლეები.	06. 03. 14
3.	გზა სიწმინდეებისკენ	8 მარტს, სკოლა „აპოდიქსის“ და მეგობარი სკოლა „არეას“ მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მოილოცეს ღირსი მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები სამების საკათედრო ტაძარში	08. 03. 14
4.	ინტელექტ-ტესტი III - IV კლასებში	12 მარტს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ტესტირება III და IV კლასებში; ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში - „ყველაზე ჭკვიანი“.	12. 03. 14
5.	„ყველაზე ჭკვიანი“ III - IV კლასებში	20 მარტს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება „ყველაზე ჭკვიანი“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ტესტირების გზით შერჩეული III - IV კლასის მოსწავლეები: გამარჯვება მოიპოვა IV კლასის მოსწავლემ - ლადო ბურჯანაძემ, რომელსაც გადაეცა სიგელი და ფასიანი საჩუქარი; სიგელებით დაჯილდოვდნენ, ასევე, ფინალურ ტურში გადასული მოსწავლეები.	20. 03. 14
6.	„ინტელექტის დღის“ შესარჩევი ტესტირება	27 მარტს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა „ინტელექტის დღის“ შესარჩევი ტესტირება X-XII კლასებში. ტესტირებაში მონაწილეობას იღებდნენ ის მოსწავლეები, რომლებმაც მაღალი შედეგები უჩვენეს ამ კლასებში ჩატარებულ წინა ტესტირებაში. ტესტირების მიზანი: შეჩვევა იმ 8 მოსწავლისა, რომლებიც სკოლის სახელით წარსდგებიან პროექტში - „ინტელექტის დღე“.	27.03.14
7.	„გაზაფხულის ხარება“	7 აპრილს, ხარების დღესასწაულზე, სკოლა „აპოდიქსის“ VI კლასის მოსწავლეებმა	07. 04. 14

		წარმოადგინეს საინტერესო ღონისძიება - „გაზაფხულის ხარება“ (კლასის ხელმძღვანელი - მაია ოდიშარია); მოსწავლეებმა ერთ ღონისძიებაში ჩააქსოვეს გაზაფხულის ყველა დღესასწაული, წარმოადგინეს სხვადასხვა სახის ნომრები.	
8.	ანტინარკოტიკულ თემაზე შექმნილი ესსეების და ნახატების კონკურსი	XII კლასის მოსწავლეებმა - ზურა ქარდავამ და ცოტნე გაბელიამ მონაწილეობა მიიღეს ანტინარკოტიკულ თემაზე შექმნილი ესსეების კონკურსში - „მივმართავ თანატოლებს“; ხოლო ნახატების კონკურსში მონაწილეობა მიიღეს:სალომე კაკულიამ და ზურაბ გვალიამ.	08.04.14
9.	„ინტელექტის დღე 2014“	26 აპრილს ქ. სენაკში ჩატარდა „ინტელექტის დღე 2014“ სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა დიდი წარმატება მოიპოვეს - სენაკის რაიონში „ინტელექტის დღე 2014“ -ის გამარჯვებული გახდა სკოლა „აპოდიქსი“. გამარჯვებული მოსწავლეები: გუნდის კაპიტანი - ბ. ფაჩულია; გუნდის კაპიტნის მოადგილე - გ. ხორავა; გუნდის ძირითადი წევრები: ზ. ქარდავა; ც. გაბელია; ლ. გოროზიანი; ნ. კორშია; გ. გვასალია; გუნდის სათადარიგო წევრები: მ. გოგია; თ. გაგუა, ნ. გოგია	26.04.14
10.	კონფერენცია თემაზე: „დედამიწა შველას ითხოვს“	საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით და სენაკის მუნიციპალიტის გამგეობის მხარდაჭერით გაიმართა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თემაზე: „დედამიწა შველას ითხოვს“. წარმოდგენილი იყო სენაკის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა მიერ დამუშავებული 38 თემა გარემოს დაცვის საკითხებზე. მათ შორის სკოლა „აპოდიქსის“ სამი მოსწავლე (ქრისტინე გოგია, ლიკა ქაქუთია, მეგი გოგია, სკოლა „აპოდიქსის“ პედაგოგი - დარეჯან კიკილაშვილი) კონფერენციის ყველა მონაწილე მოსწავლესა და მათ პედაგოგებს, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა - გივი მისაბიშვილმა გადასცა სიგელები	13.05.14
11.	„ინტელექტის დღე 2014“-ის ფინალური ტური,	18 მაისს „ინტელექტის დღე 2014“-ის ფინალურ ტურში, შერატონ მეტეხი პალასში, „აპოდიქსმა“ წარმატებულად იასპარეზა. წარმატებები ჩვენს მოაზროვნეებს: ბაჩუკი ფაჩულიას, გიორგი ხორავას, ზურა ქარდავას; ცოტნე გაბელიას; გია გვასალიას; ლიკა გოროზიანს; ნიკა კორშიას; მარი გოგიას; თაზო გაგუას, ნინო გოგიას	18.05.14
12.	„ბოლო ზარის“ ღონისძიება	27 მაისს, სკოლა „აპოდიქსში“, მოსწავლეებმა კურსდამთავრებულებს მიულოცეს სკოლის დამთავრება და საატესტატო გამოცდების წარმატებით ჩაბარება; ხანგრძლივი ზარით დაულოცეს გასავლელი გზა...	27.05.14
13.	კონკურსში - „მივმართავ თანატოლებს“	XII კლასის მოსწავლე - ზურა ქარდავამ, აპრილის თვეში, მონაწილეობა მიიღო ანტინარკოტიკულ თემაზე შექმნილი ესსეების კონკურსში - „მივმართავ თანატოლებს“;	9.06.14

		მისი ნამუშევარი საუკეთესო ოცეულში მოხვდა. გამარჯვებული თემების პრეზენტაცია გაიმართა 9 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.	
14.	მხიარული ექსკურსია	12 ივნისს სკოლა „აპოდიქსის“ I - II კლასის მოსწავლეებმა მოაწყვეს ექსკურსია იმერეთში: მოინახულეს გელათისა და ბაგრატის ტაძრები; პატარები გაერთვნენ ატრაქციონებზე და სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ - ეს მათთვის პირველი ექსკურსია იყო (პედაგოგები - ლია წოწერია და ანა კილასონია).	12.06.14
15.	„ფერადი ზაფხული“	13 ივნისს სკოლა „აპოდიქსის“ III კლასელებმა ღონისძიებით - „ფერადი ზაფხული“ - აღნიშნეს 2013-2014 სასწავლო წლის დასასრული (პედაგოგი - თეა თაქთაქიშვილი)	13.06.14
16.	ექსკურსია ბათუმში	16 ივნისს სკოლა „აპოდიქსის“ IV კლასის მოსწავლეებმა მოაწყვეს ექსკურსია ბათუმში, მოინახულეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი და სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ (პედაგოგები: გურანდა გვარამია, ია ხუციშვილი, ლელა გაბრავა).	16.06.14
17.	ერთი მხიარული დღე	17 ივნისს VI კლასის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი - მაია ოდიშარია) მოაწყვეს ექსკურსია - მოინახულეს სენაკის ღირსშესანიშნაობანი; დღემ მხიარულად ჩაიარა და მოსწავლეებიც სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ შინ.	17.06.14
18.	ექსკურსია მარშრუტით: ნოქალაქევი - მარტვილი - სალხინო	სკოლა „აპოდიქსის“ სასწავლო - შემეცნებითი ექსკურსიები გრძელდება: 18 ივნისს V კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგები: ლია წოწერია, ანა კილასონია, ლელა გაბრავა), მოაწყვეს ექსკურსია მარშრუტით - ნოქალაქევი - მარტვილი - სალხინო. ექსკურსიის მიზანი იყო მშობლიური ქვეყნის გეოგრაფიისა და ისტორიის თვალსაჩინოდ აღქმა და გააზრება; მოსწავლეებმა მოინახულეს ულამაზესი და უძველესი კულტურული ძეგლები: ციხე - გოჯი, ნოქალაქევის მხარეთმცოდნეობისა და არქეოლოგიური მუზეუმი; სამონასტრო კომპლექსი მარტვილის გორაკზე, დადიანების საზაფხულო რეზიდენცია სალხინოში, მარტვილის კანონები, დადიანების საბანაო ადგილი, გაისეირნეს ნავებით. ექსკურსია ძალიან საინტერესო და ბევრისმომცემი იყო, დღემ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა და სასიამოვნო ემოციებით დატვირთა მოსწავლეები.	18.06.14
19.	ჩაერთვნენ ნოქალაქევის ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლა	სკოლა „აპოდიქსის“ წარმატებული მოსწავლეები გია ხორავა და გიორგი გვიჩია, ივლისის თვეში, ჩაერთვნენ ნოქალაქევის ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში; მათ შეძლეს, პროექტის ფარგლებში, თავიანთი ცოდნისა და პიროვნული ღირებულებების წარმოჩენა. შინაარსობრივად დატვირთული დღეები ბევრის მომცემი იყო პროექტში ჩართული თითოეული მოსწავლისათვის; გარდა სასწავლო კურსისა, მოსწავლეებს საშუალება მიეცათ ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევით სამუშაოებთან მიახლებისა და ჩართულობისა.	01.07.14 – 22.07.14

დამატებითი ინფორმაცია, ასევე, ფოტო და ვიდეო მასალა, შეგიძლიათ იხილოთ სკოლა „აპოდიქსის“ ვებ-გვერდზე - skolaapodiqsi.edu.ge და სკოლის facebook -ის გვერდზე - **Skola Apodiqsi**